2023 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის

მარიამ ზაქარიაშვილის

საქმიანობის წლიური ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე'' - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №26-113 დადგენილების დანართი №2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, საკრებულოს წევრის ვალდებულებაა ამომრჩევლების წინაშე წელიწადში ერთხელ 1-ლ ნოემბრამდე წარადგინოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დოკუმენტი წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მარიამ ზაქარიაშვილის მიერ 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 31 ოქტომბრამდე შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

2021 წლის 2 ოქტომბერს გამართული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების საფუძველზე, 2021 წლის 3 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა, რომელზეც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ის 24-ე მუხლის ,,ბ" და ,,გ'' ქვეპუნქტებისა და საკრებულოს №-1 განკარგულების შესაბამისად, ცნობილ იქნა მე-7 მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება.

მარიამ ზაქარიაშვილი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრი

საარჩევნო ფორმა: პროპორციული სიით

ფრაქცია: " ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო "

კომისიები: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი. სატრანსპორტო საქმეთა კომისია.

სხვა აქტივობები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია; ქალაქ თბილისის საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრი;

დაესწრო:

- საკრებულოს სხდომა - 15 სხდომას
- ფრაქციის სხდომა - 18 სხდომას
- სატრანსპორტო საქმეთა კომისია - 15 კომისიას
- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია - 11 კომისიას

განიხილა:

- ფრაქციის სხდომა - 26 საკითხი
- სატრანსპორტო საქმეთა კომისია - 41 საკითხი
- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია - 168 საკითხი

საკრებულოს სხდომაზე მიიღებული იქნა 615 განკარგულება და 105 დადგენილება.

ზოგადი ინფორმაცია

საკრებულოს მიერ მიღებული, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა;
- ურბანული განვითარების ხელშეწყობა;

- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება;
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები მილიარდ 833 მილიონი ლარით განისაზღვრა.

ქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

- შეიქმნა ახალი პროგრამა ავარიული სახლების ჩანაცვლების მიზნით;
- ძველი თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციისთვის შემუშავდა ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლის შედეგადაც კონკრეტული პროექტებისთვის შესაძლებელია K2-ს გადამეტება;
- ავარიული მრავალბინიანი სახლების ჩანაცვლების ფარგლებში კერძო ინვესტორის მიერ პროექტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი გახდა IV კატეგორიის ავარიული შენობის ჩანაცვლება

კომისიური საქმიანობა

სატრანსპორტო საქმეთა კომისია

კომისიის სხდომაზე განხილული საკითხები:

- ✓ ცვლილებების შედეგად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, სამართალდამრღვევს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი თუ სამართალდამრღვევი ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, გამოიწერება საჯარიმო ქვითარი ან ელექტრონული ფორმით ივსება საჯარიმო ქვითარი, რომელიც ეგზავნება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს.
- ✓ ცვლილების შედეგად, უფასო მგზავრობის უფლება მიენიჭათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებს.
- ✓ პროექტის თანახმად, ბიუჯეტს დაემატა ახალი პროგრამა - მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW)
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის“

პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი - EBRD-ის მიერ გამოყოფილი სესხი მოხმარდება თბილისის მეტროს განვითარებას. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება 12 მეტროსადგურს, რაშიც იგულისხმება ესკალატორების და ელექტრომექანიკური დანადგარების პანელების შეცვლა, მგზავრთა ინფორმაციის შეტყობინების სისტემის განახლება, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შეცვლა. რამდენიმე მეტროსადგურის შესასვლელში დამონტაჟდება დახრილი ლიფტები. დახრილი ლიფტებით სარგებლობას შეძლებენ შშმ პირები, მოხუცები და სხვა სპეციალური საჭიროების მქონე პირები.

- ✓ ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან 2023 წლის 20 მარტამდე პერიოდში ნებისმიერ დროს ახორციელებდნენ საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანას „A“ კატეგორიის ნებართვით, პრინციპით ,,ერთ პირს - ერთი ნებართვა”, უსასყიდლოდ გადაეცათ „A“ კატეგორიის უვადო ნებართვები.
- ✓ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტი დაფინანსდა 438,304.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (447,583.8 ათასი ლარი) 97.9%-ს შეადგენს.

ინფორმაციის მოსმენა წერეთლის გამზირის და უნივერსიტეტის ქუჩის დიზაინისა და მოძრაობის ორგანიზების განახლებული სქემის შესახებ:

- უნივერსიტეტის ქუჩის რეაბილიტაციის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, მთლიანად შეიცვლება და განახლდება მიწისქვეშა კომუნიკაციები. მათ შორის, წყალმომარაგების, წყალარინების, სანიაღვრე, გაზმომარაგების და სხვადასხვა საჰაერო ქსელი, რომლებიც მიწისქვეშა კაბელ-არხებში განთავსდება. 1 600 მეტრის სიგრძის გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა ტროტუარი და გარე განათების ქსელი. დამონტაჟდება ახალი LED ლამპიონები, ხოლო ელექტროგადამცემი ხაზები მიწისქვეშ განთავსდება. ტერიტორიაზე ასევე, ჩატარდება გამწვანების სამუშაოები და ქუჩაზე არსებული ინფრასტრუქტურა ადაპტირდება შშმ პირებისთვის.
- წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის ფარგლებში, შეიცვლება და განახლდება მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია. ასევე, შეიცვლება და განახლდება წყალმომარაგების, წყალარინებისა და გაზმომარაგების ქსელები; მოეწყობა სანიაღვრე ქსელი. გამზირზე დამონტაჟდება განათების ახალი სისტემა და ელექტროგადამცემი ხაზები

მიწის ქვეშ განთავსდება; დაიგება ასფალტის საფარი და მოეწყობა ტროტუარი; ქვეითთა გადაადგილებისთვის მოეწყობა უსაფრთხოების კუნძულები, დაიხაზება ზებრა გადასასვლელები, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის კი გამოიყოფა შესაბამისი სამოძრაო ზოლი. გარდა ამისა, ჩატარდება გამწვანების სამუშაოები, გამზირზე არსებული ინფრასტრუქტურა კი ადაპტირდება შშმ პირებისთვის. ე.წ. ,,დიდუბის ხიდის" რეაბილიტაცია წერეთლის გამზირის სრული რეაბილიტაციის პარალელურად ხორციელდება.

თბილისის საზოგადოებრივი ავტობუსების განვითარების სტრატეგია:

- თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების სტრატეგიის სამუშაო ვერსიაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის დროის გაუმჯობესება; დედაქალაქის მასშტაბით ე.წ. ,,BUS LANE"-ების დაფარვის არეალის ზრდა; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე წვდომის გაზრდა; ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის მაქსიმალური სრულყოფა (ჭკვიანი შუქნიშნები და ა.შ.); სატრანსპორტო სისტემაში დასაქმებული ადამიანების ცოდნის ამაღლება და ამ მიზნით, მათი გადამზადება.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მუდმივად ახდენს სახელდების განხორციელების პროცესში და შესაბამისად თბილისის ურბანულ გარემოში საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის ასახვას, სამშობლოს დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა სფეროს ღვაწლმოსილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების სახელების სათანადო უკვდავყოფის გზით.

მნიშვნელოვანი თარიღები:

- სახელმწიფო დროშის დღე (14 იანვარს საკრებულოს შენობის ისტორიული აივნებიდან გადმოიკიდა საქართველოს დროშა)
- 25 თებერვალი (სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მუდმივად ახორციელებს იუნკერთა შესახებ ინფორმაციის მოძიებას და კოჯორ-ტაბახმელას მისადგომებთან მათი სახელების დამკვიდრებას)
- 9 აპრილი (სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით თბილისში 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ყველა ადამიანის სახელობის გეოგრაფიული ობიექტი არსებობს)

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ დაიწყო კონკრეტული სამუშაოები თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტებისთვის ისეთი საზოგადო მოღვაწეების სახელების მინიჭების მიზნით, როგორებიც არიან:

- გურამ დოჩანაშვილი
- ანზორ ერქომაიშვილი
- რევაზ გაბრიაძე
- კუკური ჭოხონელიძე
- გიგა ბათიაშვილი
- ჯემალ ჭკუასელი
- ზურაბ ბაკურაძე
- გურამ საღარაძე
- ზურაბ სოტკილავა
- ალექსანდრე შიმკევიჩი
- მერი გელოვანი
- კრავაი ჯაყელი

ეს მოკლე ჩამონათვალია იმ კულტურის,განათლების,მწერლობის, მეცნიერების, სპორტის სფეროს მოღვაწეთა სახელებთან ერთად, რომლის სახელდებაც განხორციელდა ერთი წლის განმავლობაში.

ფრაქციის საქმიანობა

უმრავლესობის ფორმატში ფრაქციის მიერ არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებთან, სამუშაო ფორმატის შეხვედრებზე განიხილებოდა სხვადასხვა პოლიტიკური საკითხი და ქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტები, მათ შორის:

- საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ;
- უახლოეს მომავალში დაგეგმილი პროექტების შესახებ;
- დედაქალაქში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;
- დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ;
- დედაქალაქში მიმდინარე პროექტების შესახებ;
- ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის შესახებ;
- სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ;
- დედაქალაქში სატრანსპორტო მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს (შემდგომში - გენდერული თანასწორობის საბჭო/საბჭო) 2 სხდომა, 4 სამუშაო შეხვედრა და არაერთი ღონისძიება/აქტივობა გაიმართა. სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებზე დღის წესრიგებით გათვალისწინებული 6 საკითხის განხილვა მოეწყო.

(საბჭოს წევრი მარიამ ზაქარიაშვილი დაესწრო 2 სხდომას და 3 სამუშაო შეხვედრას. განიხილა 5 საკითხი)

საანგარიშო პერიოდში, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და ჩართულობით სხვადასხვა ღონისძიება/აქტივობა განხორციელდა.

- „არა ქალზე ძალადობას“, „დუმილი გამოსავალი არ არის“ - ამ მოწოდებებითა და სხვადასხვა ღონისძიებებით შეუერთდა საბჭო გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიას, რომელიც მსოფლიო მასშტაბით 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით აღინიშნება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით. კამპანიის დაწყების დღეს თბილისის სატელევიზიო ანძა, სიმბოლურად, ნარინჯისფრად განათდა, რომელიც კამპანიის ოფიციალურ ფერს აღნიშნავს. საბჭოს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ გვერდზე კი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მოწოდების შინაარსით 16 სხვადასხვა პროფესიის ცნობადი ადამიანის ვიდეომიმართვა განთავსდა. ზემოაღნიშნული კამპანიის ფარგლებში, თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრთან თანამშრომლობით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის, სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად არსებული მხარდაჭერის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა სტუდენტებთან, თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდიონაციო საბჭოს წევრებსა და სხვადასხვა თემის წარმომადგენლებთან. საბჭოს ინიციატივით, დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო სერვისების - კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების მომსახურებების შესახებ. დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების ჩართულობით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის, მის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ბროშურები გავრცელდა. კამპანიის მიმდინარეობისას,

საბჭოს წევრებმა თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმღები პირები მოინახულეს და ცენტრის მუშაობის სტრუქტურას გაეცნენ. კამპანიის დასასრულს, საბჭოს წევრები, თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმღებ პირებთან ერთად სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის მუნიციპალურ თეატრს ესტუმრნენ, სადაც თეატრალიზებული წარმოდგენა „ცილინდრი“ გაიმართა.

- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს პროგრამული ბიუჯეტის გენდერული ანალიზის საკითხებზე გამართულ ორდღიან ტრენინგზე, სადაც განიხილეს თემები, რომლებიც მუნიციპალიტეტებში ბიუჯეტირების პროცესის დახვეწასა და გაძლიერებას უჭერს მხარს. მათ შორის, აღსანიშნავია: გენდერულად მგრძნობიარე პროგრამების იდენტიფიცირების საკითხი (მისი შედეგებისა და ინდიკატორების ფორმულირება), გენდერული თანასწორობა და ბიუჯეტირება, გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება პროგრამულ ბიუჯეტში და სხვა.
- მიმდინარე წელს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფს“ - ის წარმომადგენლობა საქართველოში - „მერსი ქორფს საქართველოს“ გაფორმდა. მემორანდუმი მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებას. მემორანდუმით განისაზღვრა მხარეთა თანამშრომლობის სფეროები მუნიციპალურ დონეზე. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სხვადასხვა დროს:
    - მოეწყო შეხვედრა ორგანიზაცია "მერსი ქორფს საქართველოს" საქმიანობისა და სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული პროგრამების შესახებ, ასევე - „მერსი ქორფს საქართველოს“ პროგრამის - „ქალთა ინიციატივა უსაფრთხოებისა და თანასწორობისთვის“(WISE) პრეზენტაცია; გაიმართა სესია/სემინარი მოქმედი ჟურნალისტებისათვის, თემაზე: ინკლუზიური გაშუქების მნიშვნელობა გენდერული საკითხების ადვოკატირებისათვის, სადაც ყურადღება გამახვილდა მედიის როლზე ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საკითხებში; მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან გენდერის საკითხებში ამერიკელი ექსპერტის საინფორმაციო შეხვედრა მოეწყო - ქალთა მიმართ ძალადობისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებზე საქართველოსა და მსოფლიოში არსებულ გამოწვევებზე, გენდერული ნიშნით

ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში საზოგადოების ჩართულობაზე და სხვა.

- გაიმართა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი კვლევის პრეზენტაცია ,,ქალთა მიმართ ძალადობის და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხები სამხრეთ კავკასიაში'', ასევე მოეწყო გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე ორგანიზებული პანელური დისკუსია.

- ქალი მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელს, გენდერული თანასწორობის საბჭოსა სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის თანამშრომლობით, არაერთი აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ საბჭოს ორგანიზებით, ქალთა №5 პენიტენციური დაწესებულების ბიბლიოთეკას ქალი მსჯავრდებულების ინტერესების გათვალისწინებით შერჩეული წიგნები გადაეცა, ხოლო ფსიქოლოგისა და ა(ა)იპ ქოუჩინგის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის, სასწავლო-გამაჯანსაღებელი სისტემის ტრენერ ხათუნა მუზაშვილის მიერ ქალთა №5 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებისათვის სასწავლო-გამაჯანსაღებელი, ათ დღიანი კურსი ჩატარდა და ქალ მსჯავრდებულებს აღნიშნული კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ.
- გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ წლის განმავლობაში ინიცირებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია საინფორმაციო კამპანია "შენი სიცოცხლე შენს ხელშია“, რომლის მიზანი ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და დაავადებათა სკრინინგის პროგრამის (უფასო სამედიცინო გამოკვლევები) შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა გახლდათ. კამპანია საბჭოს ინიციატივით, ა(ა)იპ „ევროპა დონა საქართველოსა“ და ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და მის ფარგლებში არაერთი აქტივობა ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული კამპანიის ფარგლებში, ქალთა ონკოლოგიური დაავადებების პრევენციის, სწორი მართვისა და დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წევრებსა და სხვადასხვა თემის წარმომადგენლებთან.
- გენდერული თანასწორობის საბჭო, ოქტომბრის თვეში, ჩაერთო ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო კამპანიაში „ვარდისფერი ოქტომბერი“. კამპანიის დასაწყისში, ონკოპაციენტთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტის გარშემო, ცოცხალი ჯაჭვი შეიკრა თბილისის საკრებულოსა და საბჭოს წევრების, „ევროპა დონა საქართველოს“,

ეროვნული სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლებისა და ბენეფიციარების მიერ. ოქტომბრის დასაწყისში, თბილისის სატელევიზიო ანძა, სიმბოლურად, ვარდისფრად განათდა. ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის, ქალთა ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისა და მის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, თბილისის ლისის ტბის ტერიტორიაზე ,,ვარდისფერი მარათონი" გაიმართა, სადაც ფეხითა და ველოსიპედით გარბენი მოეწყო. მარათონის პარალელურად, სკრინინგის შესახებ საინფორმაციო ბროშურები დარიგდა. ღონისძიება ვარდისფერი სიმბოლოების თანხლებით მიმდინარეობდა.

საბჭოს ინიციატივით, დედაქალაქის საკრებულოში, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები გაიმართა. რომელთა შორის აღსანიშნავია:

- მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც თბილისის საკრებულოს სახელით, მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის, ქართველ მეცნიერ ქალებსა და გოგონებს მადლობის სიგელები გადაეცათ
- ქართველი ქალი პოეტის, ანა კალანდაძის ხსოვნისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო - „ანა პოეზიის დედოფალი", სადაც პოეტის შემოქმედებასა და ქართულ პოეზიაში მისი ფენომენის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ქართული მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა; მუსიკოს დინი ვირსალაძის დისკის „Dreams come true" პრეზენტაცია და მისი ფერწერული ნამუშევრების გამოფენა - ღონისძიებაზე მუსიკოსის შემოქმედებასა და მიღწევებზე მუსიკალური სფეროს წარმომადგენლებმა ისაუბრეს.
- სხვა

ღონისძიებები და შეხვედრები

მარიამ ზაქარიაშვილი მუდმივად ესწრებოდა საკრებულოს, მერიის, რაიონული გამგეობების, სპორტულიდა ახალგაზრდულ, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, შეხვედრებსა და სხვადასხვა სახის ცერემონიებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ძირითადი ინფორმაცია ქვეყნდება მარიამ ზაქარიაშვილის "Facebook" გვერდზე და ასევე, საკრებულოს პრეს-სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობის გაშუქებას. მათ შორის, აქტივობების საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.